ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

შუახევის სატყეო ადმინისტრაცია

Forestry administration of Shuakhevi

დაბა შუახევი ☎ (0424) 26-00-71 დაბა შუახევი

N 13/54
30.04.2025

54-13-2-202504301301

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს

უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმერ,

თქვენი 2024 წლის 06 დეკემბრის N09/2649 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც შეეხებოდა აჭარის სატყეო სააგენტოში შემოსული ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2024 წლის 27 ნოემბრის დადგენილებას, (საქმე) 2215100240097516844 4-55/24, ხე-ტყის კონფისკაციის ნაწილში შესასრულებლად და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე გადმოცემას. ასევე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში დასაწყობებული ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი მასალებისა და ფოტოსურათების მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით, რომელზედაც 2024 წლის წლის 19 დეკემბრის N13/286 შუალედური კორესპოდენციით გეცნობათ, რომ თოვლის საფარის გამო შეუძლებელი იყო ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლა და თოვლის საფარის შრობის პარალელურად როგორც კი შესაძლებელი იქნება დანიშნულების ადგილზე გასვლა მოხდებოდა ხე-ტყის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი ინფორმაცის მოწოდება, გაცნობებთ, რომ: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2024 წლის 17 ივლის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში აღმოჩენილი იქნა 03 ცალი წიწვოვანი (სოჭის) ჯიშის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 1,354 კბმ, რომელზედაც ტყის წესების დამრღვევი პიროვნება არ არის გამოვლენილი.

სოჭის სახეობის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 1,354 კბმ (1. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 23 სმ, 2. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 35 სმ, 3. სიგრძე 4 მეტრი წვ. თავ. დიამეტრი 44 სმ.), რომელზედაც გაწერილია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი N3000116886, ხე-ტყე 2024 წლის 17 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში მცხოვრებ მოქალაქე თემურ

ლომინაძეზე. ხე-ტყე მოჭრილია ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს კვარტალ N54-ში და განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში. ხე-ტყის დასაწყობების ადგილი საავტომობილო გზიდან დაშორებულია 4-6 მეტრი მანძილით. ხე-ტყე განთავსებულია ღია ცის ქვეშ, განიცდის გარემო კლიმატური პირობების ზემოქმედებას. ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას.

დანართი: 3 ფურცელი, 1 ფოტო.

პატივისცემით

რამაზ ტაკიძე

დირექტორი
შუახევის სატყეო ადმინისტრაცია